



USAID | GEORGIA

EAST • WEST
MANAGEMENT
INSTITUTE

Policy, Advocacy, and Civil Society Development in Georgia (G-PAC)

საჯარო პოლიტიკის, ადვოკატირებისა და სამოქალაქო საზოგადოების განვითარება საქართველოში



პრესრელიზი

19.09.2014

სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრი (CCIIR) საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში ჩატარებულ მასწავლებელთა განათლების პროგრამების კვლევის პრეზენტაციას გამართავს

19 სექტემბერს 13:00 საათზე, სასტუმრო "ამბასადორში" (დიდ საკონფერენციო დარბაზში, მისამართი: თბილისი, შავთელის ქ. 13) სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრი (CCIIR) პროექტის - „მასწავლებელთა განათლება - მულტიკულტურული სწავლებისთვის მომზადება“ ანგარიშისა და შედეგების პრეზენტაციას გამართავს.

პროექტის მიზანია მასწავლებელთა განათლებისა და პროფესიული განვითარების ხელშეწყობა მულტიკულტურალიზმის განვითარების კონტექსტში. CCIIR - ის მიერ ჩატარებულმა კვლევამ შეისწავლა/შეაფასა რამდენად ეფექტურია მასწავლებელთა განათლების პროგრამები და რამდენად ფლობენ მასწავლებლები მულტიკულტურული სწავლების კომპეტენციებს იმისათვის რომ მართონ მრავალფეროვანი კლასი.

კვლევა განხორციელდა USAID-ის ფინანსური მხარდაჭერით აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის (EWMI) პროგრამის - „საქართველოში საჯარო პოლიტიკის, ადვოკატირებისა და სამოქალაქო საზოგადოების განვითარების“ (G-PAC) - ფარგლებში.

პრეზენტაციას დაესწრებიან: განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს და მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენლები, განათლების საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციები, საქართველოს უმაღლესი სასწავლებლების მასწავლებელთა განათლების პროგრამის წარმომადგენლები და სხვები.

საკონტაქტო პირი: ქეთევან ჯაჭვამე
საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი, CCIIR
k.jachvadze@cciiir.ge 595 511050